



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
გემის მექანიკა
ბაკალავრიატი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები 9-10 მარტი, 2021 წელი
დასკვნის წარდგენის თარიღი 8 აპრილი 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245433623
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გემის მექანიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები / Motor Vehides, Ships and Aircnft
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლე- ბის უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გივი სანაძე, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვალერი ჯაჯანიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო გორგოშაძე, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებული დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამა „გემის მექანიკა“ წარმოადგენს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ახალ ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას, რომლის საფუძველზე მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში“. სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია. უნივერსიტეტს გააჩნია ანლოგიური ქართულენოვანი პროგრამის განხორციელების გამოცდილება.

პროგრამა შედგენილია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია დარგობრივი მარეგულირებელი მოთხოვნები, როგორებიცაა: უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „საზღვაო ინჟინერია“, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონი, STCW კონვენცია.

პროგრამის აქტუალობა ექვგარეშეა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებიდან და მსოფლიო ბაზარზე საზღვაო ინჟინერიის კვალიფიცირებული სპეციალისტების საჭიროებიდან გამომდინარე.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზღვაო ინგლისური ენის სწავლებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 პირი. პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს. პროგრამასი გათვალისწინებული თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობა. უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი სწავლების რესურსები.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „გემის მექანიკა“ სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 9-10 მარტს დისტანციურად. მანამდე 5 მარტს ჩატარდა წინასააკრედიტაციო შეხვედრა, სადაც ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა

წევრებზე კონკრეტული სტანდარტები/დავალებები. შეხვედრაზე გაზიარებულ იქნა მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ წინასწარი შედეგები. განხილული და შეჯერებული იქნა კონკრეტული ბუნდოვანი და დასაზუსტებელი საკითხები. განსაზღვრულ იქნა დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტების სია.

აკრედიტაციის პროცედურა ჩატარდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით და ექსპერტთა სრული შემადგენლობით ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე (9 მარტს) გავლილ იქნა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობის ძირითადი საკითხები. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს. ვიზიტის განმავლობაში შედგა შეხვედრები: თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ხარის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. მეორე ეტაპზე (10 მარტს) უნივერსიტეტმა თავდაპირველად წარმოადგინა პრეზენტაცია უნივერსიტეტის სასწავლო ბაზის შესახებ, ხოლო შემდგომ აკრედიტაციის ჯგუფის წევრის მიერ ადგილზე ვიზიტით და დანარჩენი წევრების დისტანციური ვიდეო კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით დათვალიერებულ იქნა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მათ შორის ბიბლიოთეკა, სასწავლო სახელოსნოები, ლაბორატორიები, სიმულატორები.

ვიზიტ ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები.

სააკრედიტაციო პროცედურა წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტის 1.1 კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტის 2.1, 2.2, 2.4 და 2.6 კომპონენტები შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი ყველა კომპონენტი (2.3, 2.5) შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის 3.1. კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 3.2 კომპონენტი არ შეფასდა.

სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 4.2 კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 4.3 სტანდარტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და 4.4 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ვინაიდან მისი ყველა კომპონენტი (5.1, 5.2, 5.3) შეფასდა როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

1. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მარტივად, ლაკონურად, განზოგადებულად და არ განმეორდეს ერთი და იგივე თემატიკა სხვადასხვა სწავლის შედეგში;
2. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, თავიდანვე სავალდებულოდ განისაზღვროს პროგრამის დამლევსთვის საჭირო ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი ზღვარი;
3. დარგობრივი მახასიათებლის და პროგრამის სწავლის შედეგების მოთხოვნილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს განუვითარებს სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უნარებს, ხოლო სასწავლო კურსს „გემის დიზელის ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია“ მიეცეს სავალდებულო და არა არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი;
4. სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები გაიწეროს ისე, რომ არ იყოს უნიფიცირებული, აგრეთვე დაკონკრეტდეს შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების მეთოდების რაოდენობა და დეტალურად გაიწეროს თუ როგორ ნაწილდება გამოცდის ქულა შეფასების თითოეულ მეთოდებზე;
5. უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაში განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა;
6. საზღვაო პრაქტიკის მთლიანი 30 კრედიტის გავლა პროგრამაში განისაზღვროს დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილი პარამეტრების მქონე გემზე;
7. დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შემუშავებისა და ორგანიზების უნარების მქონე პროგრამის ხელმძღვანელი;
8. დაწესებულებამ უზრუნველყოს დარგობრივი მახასიათებელით მოთხოვნილი მატერიალური რესურსის სრულყოფა: უზრუნველყოფილ იქნას სახარატო დაზღვის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა (ხელისა და ფეხის ავარიული გამორთვის

შესაძლებლობა, სახისა და თვალის დამცავი ფარით აღჭურვა, საბურღ მოწყობილობას დაუმონტაჟოს ავარიული გამორთვის შესაძლებლობა); ჩარხს დაუმონტაჟდეს ავარიული გამორთვის მოწყობილობა; შეკეთდეს საშემდუღებლო მოწყობილობა, მოეწყოს გამწოვი სავენტილაციო მოწყობილობა ნამწვი აირის გაწოვისათვის, სახანძრო დეტექტორის გამომრთველი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, ცეცხლმაქრი ელექტრომოწყობილობებისთვის. საშემდუღებლო სამუშაოების ადგილი დაცულ იქნას ცეცხლგამძლე ფარდით და უზრუნველყოფილ იქნას პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთის არსებობა; ელექტრო ლაბორატორიაში წინააღმდეგობის შეერთების სტენდზე დაცული იქნას უსაფრთხოების ზომები (არ უნდა იყოს ღია ელექტრო-მოწყობილობა და ღია ელექტრო მავთულები); მოწყობილ იქნას სამანქანო განყოფილება, სადაც განთავსებული ექნება შიგა წვის ძრავა და მისი სათანადო ნაწილები;

9. უფრო დეტალურად და ნათლად გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი, მასში პროგრამის მატერიალური ბაზის განახლების და პრაქტიკის განხორციელების ხარჯების ასახვით.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, მომავალში უსდ-მ უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში;
2. მიზანშეწონილია მომავალში გადახედილ და გაზრდილ იქნას ინჟინრის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი ფუნდამენტური სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა: საინჟინრო გრაფიკა, მათემატიკა, ქიმია, თეორიული მექანიკა (ძირითადი ცნებები), გემის აგებულება და თეორია, მექანიზმების და მანქანების თეორია მანქანათა ნაწილები (ძირითადი ცნებები). ამასთან ზემოაღნიშნულ ზოგიერთ სასწავლო კურსების დასახელებებში მოცილდეს „(ძირითადი ცნებების)“ მინიშნება;
3. სასწავლო კურსის დასახელება „ჰიდრომექანიკა და პნევმატიკა“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე სასურველია შეიცვალოს სახელწოდებით „ჰიდროაერომექანიკა (Fluid Mechanics)“, რადგან მასში მინიმალურად არის ასახული პნევმატიკის საკითხები;
4. სასწავლო კურსისთვის „გემის ორთქლის ქვაბები, ორთქლის და გაზის ტურბინები“ საკმარისია მხოლოდ ერთი წინაპირობის „ფიზიკა 2“-ის მითითება, ვინაიდან „ფიზიკა1“ ისედაც წარმოადგენს „ფიზიკა 2“-ის წინაპირობას;
5. სასურველია გადაიხედოს ორი მსგავსი სასწავლო კურსის „ლიდერობა და გუნდის მართვა“ და „ხელმძღვანელობა და გუნდში მუშაობა“ საჭიროება და მოცულობა;
6. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოხდეს შემდეგი პრინციპით: ერთი სწავლის შედეგი ერთ აქტიურ ზმნას მოიცავს;

7. სასურველის სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულ იქნას სწავლება-საწავლის კონკრეტული მეთოდი რომელ თემატიკის შესაბამეა;
8. სასურველია უსდ-მ ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის სამომავლოდ უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება;
9. სასურველია უსდ-მ ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის სამომავლოდ უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება;
10. მიზანშეწონილია გაიზარდოს დარგობრივი მიმართულების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;
11. სასურველია დაწესებულებამ განახლოს პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკისა და სამაცივრო დანადგარების ლაბორატორია.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„გემის მექანიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის და საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის მისიას.

პროგრამის მიზნის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია საღვათ ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებლის და STCW კონვენციის სპეციფიკური მოთხოვნები. პროგრამა ორიენტირებულია გემის ინჟინერ-მექანიკოსის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბება, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზება და კარიერულ წინსვლა გემის სავახტო მექანიკოსიდან დაწყებული გემის უფროსი მექანიკოსის ჩათვლით.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული.

პროგრამა პასუხობს დარგის თანამედროვე მიღწევებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვა ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებთან და პროგრამაში კარგადაა წარმოდგენილი პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები. პროგრამის შინაარსი საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამა გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ბნსუ-ის მისია, სტრატეგია;
- ბნსუ-ის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის მისია, სტრატეგია;
- პროგრამის განხილვაში დამსაქმებელთა მონაწილეობის მასალები;
- თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებული აქვს დარგობრივი მახასიათებელში გაწერილი სწავლის შედეგების გათვალისწინებით, რომელიც თავის მხრივ შესაბამისობაშია საერთაშორისო STCW კონვენციით მოთხოვნილ კომპეტენციებთან. პროგრამის სწავლის შედეგები თავის მხრივ გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან. ინგლისურენოვანი პროგრამა გემის მექანიკისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 5 მიზანი და მიზნიდან გამომდინარე 7 სწავლის შედეგი. ასევე აღსანიშნავია ისიც რომ კურიკულუმში სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია სხვაგვარად ვიდრე კურიკულუმის რუკაში. კერძოდ, კურიკულუმში სწავლის შედეგების აღწერისას გამოყოფილია 4 ძირითადი მიმართულება, ხოლო შემდეგ ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგი, სადაც განზოგადებულია ეს 4 ფუნქცია. ამასთან კურიკულუმში თითოეული სწავლის შედეგს აქვს უფრო დეტალური საკითხების ჩამონათვალი, რაც არ გვხვდება კურიკულუმის რუკაში. დაწესებულების მიერ შედგენილი პროგრამის რუკაში სწავლის შედეგები ჩაშლილია სასწავლო კურსით განსაზღვრულ საგნებში, სადაც

აღნიშნულია რომელი სწავლის შედეგის მიღწევას რომელი საგანი უზრუნველყოფს და რა დონით (გაცნობის, გაღრმავების თუ განმტკიცების). მიუხედავად იმისა რომ პროგრამისათვის განსაზღვრულია 7 სწავლის შედეგი უნდა აღინიშნოს რომ თითოეულ სწავლის შედეგში ჩაშლილია სხვადასხვა პუნქტები, რაც თავის მხრივ ძნელად აღქმადს ხდის სწავლის შედეგს. გარდა ამისა ერთი და იგივე პუნქტი მეორდება სხვადასხვა სწავლის შედეგში. მაგალითად, ინგლისური ენის საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ დადგენილი სტანდარტული ფრაზები და კომუნიკაცია გვხვდება პირველ შედეგშიც, მეორეშიც და ასევე მეოთხე სწავლის შედეგშიც, რომელიც სრულიად ინგლისურად კომუნიკაციის განვითარებაზე მიმართული და ასევე ინგლისურის საზღვაო სტანდარტული ფრაზების შესწავლაზე. ასეთივეა პუნქტი მენეჯმენტსა და ლიდერობაზე, რომელიც გვხვდება როგორც პირველ, მეორე სწავლის შედეგში და ასევე მეშვიდე სწავლის შედეგში. პროგრამის სწავლის შედეგის ამგვარად ჩამოყალიბება ბუნდოვანს ხდის მის აღქმას და შესაბამისად მიღწევის შესაძლებლობას. საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოხდეს მარტივად, ლაკონურად, განზოგადებულად და არ განმეორდეს ერთი და იგივე თემატიკა სხვადასხვა სწავლის შედეგში.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „კომპეტენციების, სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, როგორც პროგრამის სასწავლო რუკა, სადაც განსაზღვრული და ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგების ფორმირებისა და მეთოდოლოგიის წესი და პრინციპები, რომლის მიხედვით ის უნდა იყოს საჯარო, გამჭვირვალე, სამართლიანი, სისტემატური და თანასწორობის გამომხატველი. დოკუმენტში მოცემულია შეფასების სახეობები და ის მოიცავს განმავითარებელ, შემაჯამებელ და უწყვეტ შეფასებას.

სწავლის შედეგების განსაზღვრა ხდება თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის და კომპეტენციისათვის. ყველა საგნის სილაბუსში გაწერილია სწავლის შედეგი.

თითოეული სილაბუსისთვის შედგენილია პროგრამის კომპონენტების რუკა, რომელიც აღწერს თითოეული სწავლის შედეგის დემონსტრირებისა და მიღწევისათვის დაგეგმილ შეფასების მეთოდებს.

დაწესებულებამ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით პროგრამის შემუშავების დროს განხორციელა დაინტერესებული მხარეების ჩართვა. კერძოდ განხორციელდა ორი შეხვედრა დამსაქმებელ საკრუინგო კომპანიებთან. შეხვედრას ესწრებოდა 11 კომპანია. პირველ შეხვედრაზე კომპანიებს გააცნეს ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავების დაწყება, ხოლო მეორე შეხვედრაზე წარუდგინეს შემუშავებული პროგრამები. ჩატარდა კომპანიების გამოკითხვა კომპეტენციების შეფასების კუთხით და ასევე კურსდამთავრებულთა მიმართ კმაყოფილების კვლევის მიზნით. დაწესებულება ახდენს ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე ანალიზის ჩატარებას და მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად პროგრამაში ცვლილების განხორციელებას. კერძოდ, დამსაქმებელთა რეკომენდაციის საფუძველზე პროგრამის კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნა რუსული ენის არჩევით საგნად ჩასმა.

ასევე დაწესებულებამ განხორციელა პროგრამის გარე შეფასება სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საფუძველზე სამი უცხო უნივერსიტეტისგან.

ვინაიდან პროგრამა ახალია არ ჩანს სუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. მომავალში მიზანშეწონილია უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შემუშავების პროცესში.

დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტი „პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პრინციპებსა და მეთოდებს, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებსა და ასევე სწავლის შედეგების გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. როგორც დოკუმენტი განსაზღვრავს, უნდა იყოს შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. გეგმაში გაწერილი უნდა იყოს როდის აქვს დაწესებულებას დაგეგმილი შეფასოს შედეგები და რა მეთოდებს გამოიყენებს შეფასებისთვის. შეფასება შეიძლება იყოს პირდაპირი, როცა უშუალოდ სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის შედეგების მიხედვით ხდება შეფასება და არაპირდაპირი, როცა სწავლის შედეგებს აფასებს კურსდამთავრებული, დამსაქმებელი.

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს დაწესებულების მიერ წინასწარ სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულების დადგენის აუცილებლობას. სამიზნე ნიშნული უნდა ასახავდეს იმ მოლოდინს თუ რა დონით უნდა მიაღწიოს სტუდენტმა ამა თუ იმ კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგს. დაწესებულებას თითოეული კურსისთვის შედგენილი აქვს ამ კურსით განსაზღვრული პროგრამის კომპონენტის რუკა, სადაც თავად ლექტორი განსაზღვრავს თავისი კურსისთვის პროგრამის კომპონენტის ათვისების სამიზნე ნიშნულებს, რაც შემდგომ მისცემს დაწესებულებას საშუალებას მოახდინოს შედეგების შეფასება და წინასწარ დადგენილი სამიზნე ნიშნულებთან დადარება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელმძღვანელობის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება წლის დასაწყისში ატარებს გასულის წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შემაჯამებელ ანალიზს. აღნიშნულ ანგარიშში ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შეფასება, რომლის მიხედვით გემის მექანიკის სასწავლებელში არსებული პროგრამის ათვისების მაჩვენებელი გაიზარდა 1 %-ით. ანგარიში ასევე ასახავს დამსაქმებელთა კვლევის შედეგებს კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შეფასებასთან დაკავშირებით, რომლის ანალიზის საფუძველზე დგინდება რომ კურსდამთავრებულთა არა მარტო ცოდნა და პროფესიული უნარებია მნიშვნელოვანი, არამედ პიროვნული თვისებები, თვითმოტივაციის უნარი, პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი. მოგროვებული კვლევების ანალიზის შედეგად დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება პროგრამის მოდიფიკაციისას გაითვალისწინოს დამსაქმებელთა აზრი და სასწავლო პროგრამაში დაამატოს სწავლის კურსი მეზღვაურის პროფესიული ეთიკა, რაც უფრო გააძლიერებს სტუდენტში პასუხისმგებლობის, ლიდერობის, გადაწყვეტილების მიღების უნარს. ექსპერტთა შეფასებით ზემოთ აღნიშნული მიუთითებს იმას, რომ დაწესებულება იყენებს შეფასების შედეგებს პროგრამის გაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- დამსაქმებელთა კვლევის ანალიზი;
- პროგრამის შეფასება 3 უცხოეთის უსდ-ს მიერ;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების დებულება;
- კომპეტენციების და სწავლის შედეგების ფორმირების და შეფასების მეთოდოლოგია;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მარტივად, ლაკონურად, განზოგადებულად და არ განმეორდეს ერთი და იგივე თემატიკა სხვადასხვა სწავლის შედეგში;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია მომავალში უსდ-მ უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად – სრული ზოგადი განათლება. ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბნსუ-ს და სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010) შესაბამისად წინამდებარე პროგრამაზე დაშვების პირობას წარმოადგენს ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა. ჯანმრთელობის მდგომარეობა აისახება შესაბამის სამედიცინო მოწმობაში.

ამგვარად პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს შიდა შეფასების საფუძველზე ინგლისური ენის ფლობის B2 დონეზე დადასტურების აუცილებლობას, უმჯობესია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართულენოვანი სტუდენტებისთვის თავიდანვე სავალდებულოდ განისაზღვროს ინგლისური ენის გამოცდაში B2 დონის ცოდნის შესაბამისი ზღვარი (საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 52 შესაბამისად).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები (შინაგანაწესი);
- ბნსუ-ის ვებ-გვერდი (<https://bntu.edu.ge/>);

○ ინტევიუს შედეგები.
რეკომენდაციები: იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აზარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, თავიდანვე სავალდებულოდ განისაზღვროს პროგრამის დამლევსთვის საჭირო ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი ზღვარი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შემუშავებულია ბნსუ-ის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“, საკვალიფიკაციო ჩარჩოს და „საზღვაო ინჟინერიის“ დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების მიხედვით. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს. „გემის მექანიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს
--

240 ECTS კრედიტს. პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.

პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს თანმიმდევრული გადასვლის პრინციპს ზოგადიდან ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებზე. სავალდებულო კომპონენტები სპეციფიკის შესაბამისად მონაწილეობს პროგრამის შედეგების დონის (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) ფორმირებაში.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა, მიზანი და სწავლის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შემუშავდა დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

უზრუნველყოფილია პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის ფორმირებისას პრიორიტეტი მინიჭებული აქვს დარგის მახასიათებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. შედეგად ნაკლები ყურადღება ექცევა ინჟინრის კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის განმსაზღვრელ ფუნდამენტურ სასწავლო კურსებს. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მომავალში გადახედილ და გაზრდილ იქნას კრედიტები რაოდენობაშემდეგი სასწავლო კურსებისთვის: საინჟინრო გრაფიკა, მათემატიკა, ქიმია, თეორიული მექანიკა (ძირითადი ცნებები), გემის აგებულება და თეორია, მექანიზმების და მანქანების თეორია მანქანათა ნაწილები (ძირითადი ცნებები). ამასთან ზემოაღნიშნულ ზოგიერთ სასწავლო კურსების დასახელებებში მოცილდეს „(ძირითადი ცნებების)“ მინიშნება.

სასწავლო კურსისთვის „ჰიდრომექანიკა და პნევმატიკა“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე უფრო შეესაბამება დასახელება „ჰიდროაერომექანიკა (Fluid Mechanics)“, რადგან მასში მიზერულად არის ასახული პნევმატიკის საკითხები.

სასწავლო კურსისთვის „გემის ორთქლის ქვაბები, ორთქლის და გაზის ტურბინები“ საკმარისია მხოლოდ ერთი წინაპირობის „ფიზიკა 2“-ის მითითება, ვინაიდან „ფიზიკა 1“ ისედაც წარმოადგენს „ფიზიკა 2“-ის წინაპირობას.

სასურველია გადაიხედოს ორი მსგავსი სასწავლო კურსის „ლიდერობა და გუნდის მართვა“ და „ხელმძღვანელობა და გუნდში მუშაობა“ საჭიროება და მოცულობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგის „კურსდამთავრებული იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, კომპიუტერულ პროგრამებს, ასევე, სპეციალიზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას და სისტემებს STCW კოდექსით გათვალისწინებული გემის მექანიკოსის მოვალეობების შესასრულებლად“ მიღწევა „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ (3 კრედიტის მოცულობით) სასწავლო კურსით არ არის საკმარისი. ეს სასწავლო კურსში ზოგადი კომპიუტერული პროგრამების (ms. word, exel, powerpoint) ათვისებას უწყობს ხელს. საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს განუვითარებს სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უნარებს და შესაბამისად მიღწეული იქნება პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგი.

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის „საზღვაო ინჟინერია“ (გემის მექანიკა) მიხედვით კომპეტენციის სფერო 1.4. „მთავარი, ამძრავი და დამხმარე მექანიზმებისა და მათთან დაკავშირებული მართვის სისტემების ოპერირების დაგეგმვა და მართვა, დამუშაო განრიგის შედგენა“ ითვალისწინებს, რომ კურსდამთავრებულს

შეუძლია „მათ შორის“ „გემის შიგა წვის ძრავების მუშა პარამეტრებისა და მექანიზმების საერთო მდგომარეობის კონტროლი, გაუმართაობების აღმოჩენა და აღმოფხვრა“, აღნიშნული სწავლის შედეგი გვხვდება პროგრამის კურიკულუმში შემდეგი ფორმულირებით: „აკეთებს გემის შიგა წვის ძრავების მუშა პარამეტრებისა და მექანიზმების საერთო მდგომარეობის კონტროლს, ავლენს გაუმართაობებს და განსაზღვრავს მათი აღმოფხვრის გზებს“. მოცემული სწავლის შედეგი უმეტესად მიღწევადია სასწავლო კურსით: „გემების დიზელის ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია“. კურიკულუმის მიხედვით აღნიშნული სასწავლო კურსი წარმოდგენილია „არჩევითი“ კურსის სტატუსით, რაც დარგობრივი მახასიათებლის და პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევას შეუძლებელს ხდის. აღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია სასწავლო კურსი „გემის დიზელის ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია“ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი იყოს სტატუსით „სავალდებულო“ და არა „არჩევითი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკა;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- დარგობრივი მახასიათებლის და პროგრამის სწავლის შედეგების მოთხოვნილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს განუვითარებს სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უნარებს, ხოლო სასწავლო კურსს „გემის დიზელის ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია“ მიეცეს სავალდებულო და არა არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია მომავალში გადახედილ და გაზრდილ იქნას ინჟინრის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი ფუნდამენტური სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა: საინჟინრო გრაფიკა, მათემატიკა, ქიმია, თეორიული მექანიკა (ძირითადი ცნებები), გემის აგებულება და თეორია, მექანიზმების და მანქანების თეორია მანქანათა ნაწილები (ძირითადი ცნებები). ამასთან ზემოაღნიშნულ ზოგიერთ სასწავლო კურსების დასახელებებში მოცილდეს „(ძირითადი ცნებების)“ მინიშნება;
- სასწავლო კურსის დასახელება „ჰიდრომექანიკა და პნევმატიკა“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე საურველია შეიცვალოს სახელწოდებით

„ჰიდროაერომექანიკა (Fluid Mechanics)“, რადგან მასში მიზერულად არის ასახული პნევმატიკის საკითხები; ○ სასწავლო კურსისთვის „გემის ორთქლის ქვაბები, ორთქლის და გაზის ტურბინები“ საკმარისია მხოლოდ ერთი წინაპირობის „ფიზიკა 2“-ის მითითება, ვინაიდან „ფიზიკა 1“ ისედაც წარმოადგენს „ფიზიკა 2“-ის წინაპირობას; ○ სასურველია გადაიხედოს ორი მსგავსი სასწავლო კურსის „ლიდერობა და გუნდის მართვა“ და „ხელმძღვანელობა და გუნდში მუშაობა“ საჭიროება და მოცულობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდის პროგრამის სწავლის შედეგებთან და ხელს უწყობს სტუდენტს განუვითარდეს პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები. სასწავლო კურსების შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლის საფეხურს და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სილაბუსებში სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია კომპლექსურად. ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნის, მისაღწევი სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია საკმაო მოცულობითი ფორმით, ასევე ერთი სწავლის შედეგის აღწერისას გამოყენებულია რამოდენიმე აქტიური ზმნა, რაც სასწავლო კურსის შედეგების აღქმისა და გააზრების სირთულეს განაპირობებს. მიზანშეწონილია, რომ შედეგების ჩამოყალიბება მოხდეს შემდეგი პრინციპით: ერთი სწავლის შედეგი ერთ აქტიურ ზმნას მოიცავს.

სასწავლო კურსების სილაბუსები უზრუნველყოფილია სავალდებულო ლიტერატურითა და შესაბამისი სასწავლო მასალებით, რომლებიც ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „გემის მექანიკა“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოხდეს შემდეგი პრინციპით: ერთი სწავლის შედეგი ერთ აქტიურ ზმნას მოიცავს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გემის მექანიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისთვის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რაც განპირობებულია დარგობრივი მახასიათებლებითა და STCW კონვენციით. პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

პროგრამაში შემოთავაზებულია პრაქტიკის შერეული მოდელი, გულისხმობს თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკისა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსების თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოები გულისხმობს სტუდენტების მხრიდან თეორიული სწავლების პარალელურად სპეციალურ სიმულატორებზე, ტრენაჟორებზე, სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში პრაქტიკული დავალებების შესრულებას, რაც გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებით. გარდა ამისა პროგრამა მოიაზრებს ორ სავალდებულო დამოუკიდებელ პრაქტიკულ კურსს: „სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა“ (5 ECTS) და „საზღვაო პრაქტიკა“ (30 ECTS). აღსანიშნავია, რომ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, „სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის“ გავლა გათვალისწინებულია VI სემესტრში და მისი წინაპირობაა „გემის აგებულება და თეორია“. სასწავლო პრაქტიკის მიზანია, რომ სტუდენტს რეალურ სამუშაო გარემოში გააცნოს სამანქანო განყოფილებაში გამოსაყენებელი საზომები, საზეინკლო და სხვა ინსტრუმენტები, უზრუნველყოს მექანიზმების დამლის, რემონტის და აწყობის მეთოდების, საშემდუღებლო და სახარატო სამუშაოების შესრულების ტექნოლოგიის ათვისება, განუვითაროს ელექტრო, პნევმო და ჰიდრავლიკური მოწყობილობების და ავტომატიკის ელემენტების პრაქტიკული გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები. რაც შეეხება „საზღვაო პრაქტიკას“, პროგრამაში აღნიშნული კომპონენტი გათვალისწინებულია VIII სემესტრში და მის გასავლელად სტუდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს ყველა სავალდებულო სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტი. „საზღვაო

პრაქტიკის“ მიზანია რეალურ გარემოში (გემზე) მეზღვაურისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. პროგრამაში არსებული ორივე პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებულია პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის არსებობა.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადგინდა რომ უსდ-ს დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანს, რაც გულისხმობს „საზღვაო პრაქტიკის“ შემადგენელი კომპონენტის საცურაო პრაქტიკის გავლას, თუმცა აკრედიტაციის სტანდარტებიდან გამომდინარე საჭიროა სასწავლო უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაში სტუდენტთა რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის განსაზღვრა.

პროგრამითა და დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილი 30 კრედიტიანი საზღვაო პრაქტიკისათვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, რომ 3 თვეს განახორციელებს თავის კუთვნილ გემ ელიტაზე, ხოლო მეორე სამ თვეს საკრუინგო კომპანიებთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში. ასევე აღსანიშნავია, რომ გემის მექანიკის პროგრამის კურიკულუმში დარგობრივი მახასიათებლის კომპეტენციებს განსაზღვრული აქვს ის კურსები, რომლებიც ითვალისწინებს აღნიშნული კომპეტენციების ჩამოყალიბებას. კურიკულუმის მიხედვით გემ ელიტაზე პრაქტიკული დავალებების საერთო საათობრივი რაოდენობა შეადგენს 277 საათს. დაწესებულების კუთვნილებაში არსებული გემი ელიტას მთავარი ძრავა არის 103 კვტ რაც არ შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლით, კანონმდებლობითა და საერთაშორისო STCW კონვენციის მოთხოვნებს. კერძოდ აუცილებელია აღნიშნული პრაქტიკა მთლიანად იყოს უზრუნველყოფილი 750 და მეტი კვტ მთავარი ძრავის მქონე გემებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხერხდება საზღვაო პრაქტიკით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს კურიკულუმისა და სილაბუსის ჩანაწერი და საზღვაო პრაქტიკის მთლიანი 30 კრედიტი უზრუნველყოს დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილი პარამეტრების გემზე.

პროგრამაში თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილია 17 ECTS კრედიტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი გამოიმუშავებს ტრანსფერულ უნარებს, კერძოდ: დროის მართვა, სამუშაოს შესრულების სტრატეგიის დაგეგმვა და ორგანიზება, ანალიზი და სინთეზი, პრობლემის გადაჭრის მიზნით გადაწყვეტილების მომზადება/მიღება, წერითი და ზეპირი კომუნიკაცია, თვითშეფასება და სიტუაციის კრიტიკული შეფასება და სხვა. ამასთან გემის მექანიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმს მიღმა ისინი მონაწილეობენ სტუდენტურ კონფერენციებში, რაც დამატებით ხელს უწყობს პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები „გემის მექანიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები; - ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან; „გემის მექანიკის“ თვითშეფასების ანგარიში; - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ვებ გვერდი; - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: - უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაში განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა; - საზღვაო პრაქტიკის ტიანი 30 კრედიტის გავლა პროგრამაში განისაზღვროს დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილი პარამეტრების მქონე გემზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება

და სხვ., რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ აქტივობებს დისკუსია, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვ. შეესაბამება საზღვაო ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ შედეგების მიღწევის მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სწავლის მეთოდების შესაბამისობა საზღვაო ინჟინერიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, რაც ადასტურებს პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევის სისწორეს. სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის მეთოდები შერჩეულია ზოგადი პრინციპით, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით და არაა დაკონკრეტებული, თუ რომელი სწავლის მეთოდები გამოიყენება სრულად და რომელი თემის შესაბამისია მოცემული მეთოდი. მიზანშეწონილია სასწავლო კურსის სილაბუსში უფრო გარკვევით იყოს მითითებული, სწავლა-სწავლების რომელი მეთოდები გამოიყენება და რომელი თემატიკის შესაბამისია სწავლა-სწავლების კონკრეტული მეთოდი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „გემის მექანიკა“; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველის სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულ იქნას სწავლება-სწავლის კონკრეტული მეთოდი რომელ თემატიკის შესაბამეა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისია.

სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. გემის მექანიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, ღია კითხვები, საკურსო ნაშრომი, ესე და ა.შ) გამოკითხვა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც არ აღემატება 60%-ს და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესის მიხედვით, დასკვნითი შეფასება 40-ს, ხოლო შუალედური შეფასება 60 ქულას მოიცავს. შესაბამისად გემის მექანიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ფინალური გამოცდა 40-ით, ხოლო შუალედური გამოცდა 20 ქულით ფასდება და პროფესორ-მასწავლებლის სურვილისამებრ მხოლოდ შუასემესტრული აქტივობების შესაფასებლად დარჩენილი 40 ქულის გადანაწილება შესაძლებელია. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსის სილაბუსების დიდ ნაწილში უნიფიცირებულია როგორც შეფასების მეთოდები ისე, კრიტერიუმები და რუბრიკები. ამასთან სასწავლო კურსების სილაბუსებში დაკონკრეტებული არაა თუ შეფასების რომელი მეთოდი რა რაოდენობით იქნება გამოყენებული შუალედურ და ფინალურ გამოცდებში სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად, მაგალითად: აღნიშნულია, რომ შუალედური გამოცდა 20 ქულით ფასდება და გამოცდაში შესაძლოა გამოყენებული იყოს 0,5 ქულიანი ტესტი, ორქულიანი ან ერთქულიანი ღია კითხვები და ა.შ თუმცა არაა დეტალურად ნაჩვენები 20 ქულა როგორ ნაწილდება და კონკრეტული შეფასების მეთოდი რამდენ დავალებას მოიცავს - რამდენი ტესტი იქნება, რამდენი ღია კითხვა, ამოცანა და ა.შ. საჭიროა რომ დაკონკრეტდეს შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების მეთოდების რაოდენობა და დეტალურად გაიწეროს თუ როგორ ნაწილდება გამოცდის ქულა შეფასების თითოეულ მეთოდებზე.

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე საურველია, რომ შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები არ იყოს უნიფიცირებული.

ინტერვიუს პროცესში დასტურდება, რომ პროგრამის პერსონალი შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას თუმცა არ ჩანს პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების

ჩამონათვალში. სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს პერსონალისთვის უფრო ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა.

გემის მექანიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა და საზღვაო პრაქტიკა, რომელთა სილაბუსებში დეტალურადაა მოცემული პრაქტიკული კომპონენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. ასევე პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა, რომლის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე გემის მექანიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირის სწავლის შედეგებზე. აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული პორტალი. ასევე როგორც სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებენ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს. მსგავსი უკუკავშირი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დაადასტურეს ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

უსდ-ში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს შეფასების შედეგების ანალიზსა და მის გამოყენებას სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გემის მექანიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები;
- პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს №02 გადაწყვეტილებით 07.02.2019);
- შეფასების გასაჩივრების მექანიზმი (საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის დებულება №2-030101-02);
- „გემის მექანიკის“ საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები გაიწეროს ისე, რომ არ იყოს უნიფიცირებული, აგრეთვე დაკონკრეტდეს შუალედურ

და ფინალურ გამოცდებზე შეფასების მეთოდების რაოდენობა და დეტალურად გაიწეროს თუ როგორ ნაწილდება გამოცდის ქულა შეფასების თითოეულ მეთოდებზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ უნარების განვითარებისათვის უფრო ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პერსონალთან და გემის მექანიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც დამატებით მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან, გასაუბრების პროცესში ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ. მეტიც როგორც უნივერსიტეტში, ისე ელექტრონულ რეჟიმშიც აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პრაქტიკისა და დასაქმების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები და შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან. აგრეთვე, სასწავლო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრი საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად გეგმავს და ახორციელებს საჯარო ლექციებსა და კურიკულუმს მიღმა სხვა აქტივობებს.

სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად თავსდება ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, ღონისძიებებისა და კვლევების შესახებ, სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან კი გემის მექანიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებს აქვთ სათანადო ფინანსური ხელშეწყობა

საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი „გემის მექანიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვისაც შექმნის სათანადო პირობებს, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროექტებში და ასევე ERASMUS+ ისა და სასწავლო უნივერსიტეტის გაცვლითი სტიპენდიებით ისარგებლონ ინდივიდუალური საერთაშორისო მობილობით.

სასწავლო უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა რეგისტრაციის, შეფასებისა და მონიტორინგის სამსახური სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიასთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ. ასევე, სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს მონაწილეობენ ხარისხის სამსახურის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში.

სტუდენტებისთვის დაწესებულია სტიპენდიები, რომელთა მოპოვებაც დამოკიდებულია სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე, ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო მიზნობრივი პროექტების დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს აკადემიურ პერსონალთან ერთად შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება.

მთლიანობაში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან და გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და მხარდაჭერას. გემის მექანიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტები კმაყოფილები არიან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საქმიანობით.

სასურველია უსდ-მ ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის სამომავლოდ უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და დატვირთვის სქემა;
- პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- „გემის მექანიკის“ საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია უსდ-მ ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის სამომავლოდ უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე დიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ექსპერტთა მიერ შეფასდა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება სულ 24 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაგან 18 არის მოწვეული პერსონალი და 8 აკადემიური პერსონალი. მოწვეული პერსონალიდან 3 არის უცხოეთიდან მოწვეული, კერძოდ 2 უკრაინის ადმირალ მაკაროვის გემთმშენებელი ნაციონალური უნივერსიტეტიდან, ხოლო 1 თურქეთის ხოფის ნავსადგურის კაპიტანი, რომელიც გაუძღვება 8 სპეციალურ კურსს, მათ შორის ისეთ სპეციალობებს როგორიცაა თეორიული მექანიკა, მასალათგამძლეობა, თერმოდინამიკა და თბოგადაცემა, პნევმატიკა და ჰიდრაულიკა. მოწვეული და აკადემიური პერსონალის არაპროპორციული გადანაწილება ქმნის პროგრამის განხორციელების რისკს, განსაკუთრებით მაშინ როცა პროფესიულ კურსს უძღვება მოწვეული პერსონალი. პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილია აკადემიური და აფილირებული პერსონალის გაზრდა და ბალანსის დაცვა მოწვეულსა და აკადემიურ პერსონალს შორის.

სპეციალური კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ძირითადად არჩეულია პროფესიული ნიშნით, რაც გულისხმობს რომ ისინი არიან მართვის დონის უფროსი მექანიკოსები და აქვთ 3 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება ბოლო 10 წლის განმავლობაში ან გადამზადების ტრენინგი, რაც დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი მოთხოვნებიდან შეესაბამება.

დაწესებულებას შედგენილი აქვს აკადემიურ პერსონალზე ინდივიდუალური დატვირთვის სქემა თითოეული პერსონალისთვის ცალკე-ცალკე, სადაც გაწერილია

აკადემიური პერსონალის განსახორციელებელი სხვადასხვა აქტივობა. იგივე პრინციპით აქვს მოწოდებული მოწვეული პერსონალის დატვირთვა.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის დატვირთვის მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის საჭირო რაოდენობის შეფასების მექანიზმები. დოკუმენტში განსაზღვრული კვირეული დატვირთვა არის 40 საათი, რაც შრომის კანონთან შესაბამისია. ამასთან აკადემიური პერსონალის სალექციო საათები უნდა იყოს მისი სრული დატვირთვის 25 პროცენტი. 1 აკადემიური პერსონალისთვის განსაზღვრულია 25 სტუდენტი.

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები რეგულირდება დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტით „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია“. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ასევე პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლის შესაბამისად ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის ხარისხის მქონე ან პროფესიული ნიშნით შერჩეული პირი, რომელსაც აქვს უნივერსიტეტში მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება. დოკუმენტი ადგენს პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის ყოველწლიური შეფასების კრიტერიუმებს და შეფასების მინიმალურ ქულას.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია სათანადო უნარები პროგრამის განხორციელებისთვის, ასევე არ გამოიკვეთა მისი ჩართულობა პროგრამისა და კურსების სილაბუსების ორგანიზებასა და შემუშავების პროცესში.

დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა რეგისტრაციის, შეფასებისა და მონიტორინგის სამსახურში მუშაობს მხოლოდ 1 დამხმარე/ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურშიც მუშაობს 1 თანამშრომელი, ორივე სამსახურში თითო ადამიანი, ახალი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, დამატებითი სტუდენტების მომსახურება გაუჭირდება, შესაბამისად მიზანშეწონილია გაიზარდოს თანამშრომელთა რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- საშტატო განრიგი;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვა;
- მოწვეული პერსონალის დატვირთვა;
- პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შემუშავებისა და ორგანიზების უნარების მქონე პროგრამის ხელმძღვანელი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილია გაიზარდოს

დარგობრივი მიმართულების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება იყენებს პერსონალის შეფასების სხვადასხვა მექანიზმებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარები რომლის მიხედვითაც ახორციელებს კმაყოფილების კვლევას და სწავლის პროცესის განხორციელების შეფასებას. არის კითხვარები სტუდენტებისთვის, ლექტორის შეფასების კვლევისთვის, კურსდამთავრებულთა კვლევისთვის. აღნიშნული კვლევები ანალიზდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხელმძღვანელობასთან წარსადგენ ანგარიშის დროს. პერსონალის შეფასებისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე სარეიტინგო სისტემა, რაც გულისხმობს პერსონალისთვის დადგენილი წესით სარეიტინგო ქულის მინიჭებას. შემუშავებული ცხრილის საშუალებით ხდება სასწავლო, სამეცნიერო და სხვა აქტივობების შეფასება და შესაბამისი ქულის მინიჭება. პირადი რეიტინგის ცხრილის შევსება არის პერსონალის პასუხისმგებლობა, ინფორმაციის ნამდვილობაზე კონტროლი -

კათედრის გამგის, მონაცემების სარეიტინგო სიების ბაზის შექმნა - ფაკულტეტის მდივნის, ხოლო სარეიტინგო სისტემის პირველადი ანალიზი და კომისიისთვის გადაცემა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობაა. დაწესებულებას აქვს ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციები, სემინარები, აწყობს ტრენინგებს თანამშრომლებისათვის. მაგალითად 2020 წლის განმავლობაში დაწესებულებამ ჩაატარა ონლაინ საერთაშორისო კონფერენცია „მეზღვაურთა დღე 2020 - პანდემიის გამოწვევები და ახალი შესაძლებლობები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო როგორც ადგილობრივმა ასევე უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებმა. დაწესებულების ორგანიზებით 2020 წელს ჩატარდა ასევე მე-4 საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია. სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ასევე საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაში „The future of maritime education and training in digital era“. დაწესებულებამ 2020 წელს უზრუნველყო ონლაინ ტრენინგები პროფესორ მასწავლებლებისათვის საზღვაო ინგლისური ენის შესწავლის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, კრიზისულ სიტუაციებში მართვის ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით, ლიდერობისა და წარმატების ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით. 2020 წლის განმავლობაში დაწესებულებამ უზრუნველყო თავისი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დასწრება 11 ონლაინ ვებინარზე, რომელთა უმეტესობა საზღვაო თემატიკასთან იყო დაკავშირებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი ხელშეკრულებები/მემორანდუმები; ○ დაწესებულების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გემის მექანიკის პროგრამა სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელებისათვის მოითხოვს სპეციფიკურ ლაბორატორიებს, როგორცაა ჰიდრავლიკის, პნევმატიკის, ავტომატიკის, ტექნიკური ელექტრომექანიკის, ელექტროტექნიკის ლაბორატორიები და სახელოსნოების, როგორცაა, საზეინკლო, სახარატო, შედუღების, ელექტრო-შეკეთების სახელოსნოები. ასევე საჭიროა სიმულატორები, როგორცაა სამანქანე განყოფილების სიმულატორი, სატვირთო და საბალასტო ოპერაციების სიმულატორი და სამანქანე განყოფილება, სადაც განთავსებული იქნება შიგა წვის ძრავა და მისი სათადარიგო ნაწილები, როგორცაა დგუში, გამაფრქვეველი, შეზეთვის სისტემა, მაღალი წნევის ტუმბო. აღნიშნული აღჭურვილობები საჭიროა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად და ის მოითხოვება დარგობრივი მახასიათებლით. ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისას შემოწმებული იქნა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა. დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი A გარემოს აუდიტორიები, სადაც დამონტაჟებულია პროექტორები, B გარემოს აუდიტორია 20 კომპიუტერით, ლინგოფონის კაბინეტი ინგლისური ენის შესწავლისათვის. დაწესებულებაში არის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, სავაკუაციო გასასვლელები, სამედიცინო ოთახი, ლიფტი შშმ პირებისათვის. შენობაში არის გათბობის სისტემა, ვიდეო მონიტორინგი ყველა სართულზე და გარე პერიმეტრზე, არის დაცვის სისტემა. ყოველივე აღნიშნული დამაკმაყოფილებელია და დადებითად ფასდება. სასწავლებელს აქვს საკონფერენციო დარბაზი, სტუდენტთა სივრცე, თვითმართველობისთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე, ასევე კულტურული და შემეცნებითი აქტივობების განსახორციელებელი დარბაზი. მოწყობილია პატარა სპორტული მოედანი. რაც შეეხება ტექნიკურ აღჭურვილობას დაწესებულებას გააჩნია დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოწყობილობები, თუმცა არის რიგი ხარვეზები, რაც საჭიროებს გამოსწორებას. კერძოდ: - სახელოსნოში განთავსებულია სახარატო, საზეინკლო და შედუღების მოწყობილობები. თუმცა სახარატო დაზგას არ გააჩნია უსაფრთხოების ტექნიკა და არ არის დაცული, კერძოდ არ არის ხელისა და ფეხის ავარიული გამორთვის შესაძლებლობა, ასევე არ არის სახისა და თვალის დამცავი ფარი. აღნიშნული სავალდებულოა სტუდენტების უსაფრთხო მუშაობისთვის; - საბურღი მოწყობილობა - არ გააჩნია ავარიული გამორთვის შესაძლებლობა; - ჩარხი - ასევე უნდა ჰქონდეს ავარიული გამორთვის შესაძლებლობა; - როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა საშემდუღებლო მოწყობილობა იყო შესაკეთებლად წაღებული. თუმცა აუცილებელია საშემდუღებლო მოწყობილობასთან იყოს გამწოვი სავენტილაციო მოწყობილობა, ნამწვი აირის გაწოვისათვის, უნდა იყოს სახანძრო დეტექტორის გამომრთველი ხანძარსაწინა-

აღმდეგო საშუალებები, უნდა იყოს ცეცხლმაქრი ელექტრომოწყობილობებისთვის (CO) აუცილებელია ის ადგილი, სადაც სრულდება საშემდუღებლო სამუშაოები, დაცული უნდა იყოს ცეცხლგამძლე ფარდით და იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა (მინიმუმ 1); - ელექტრო ლაბორატორიაში - წინაღობების შეერთების სტენდზე დაცული იყოს უსაფრთხოების ზომები, კერძოდ არ უნდა იყოს ღია ელექტრო-მოწყობილობა და ღია ელექტრო მავთულები; - დაწესებულებას არ აქვს სამანქანე განყოფილება, სადაც განთავსებული ექნება შიგა წვის ძრავა და მისი სათადარიგო ნაწილები. დაწესებულებას აქვს გემი, თუმცა მისი სამანქანე განყოფილება ვერ უზრუნველყოფს კურსებით მოთხოვნილი სწავლის შედეგების მიღწევას. - დაწესებულების გააჩნია ავტომატიკის, პნევმატიკისა და ჰიდრავლიკის ლაბორატორიები, თუმცა საკმარის მოძველებულია და სასურველია მისი განახლება. დაწესებულებას გააჩნია სამანქანე განყოფილების სიმულატორი და მაღალი ძაბვის ლაბორატორია, რაც დადებითად ფასდება. დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა. ინგლისურენოვანი პროგრამისათვის განახლდა წიგნადი ფონდი, აქვს საზღვაო ელექტრონულ ბაზებზე წვდომა, აქვს წვდომა სამეცნიერო ბაზებთან: რუსთაველის ფონდი და სხვა. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შერჩევითობის პრინციპით მოთხოვნილი საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილ იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკარის მიერ.	მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიბლიოთეკის დებულება; ○ ვიზუალური დათვალიერება ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ დაწესებულებამ უზრუნველყოს დარგობრივი მახასიათებელით მოთხოვნილი მატერიალური რესურსის სრულყოფა: უზრუნველყოფილ იქნას სახარატო დაზგის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა (ხელისა და ფეხის ავარიული გამორთვის შესაძლებლობა, სახისა და თვალის დამცავი ფარით აღჭურვა, საბურღი მოწყობილობას დაუმონტაჟოს ავარიული გამორთვის შესაძლებლობა); ჩარხს დაუმონტაჟდეს ავარიული გამორთვის მოწყობილობა; შეკეთდეს საშემდუღებლო მოწყობილობა, მოეწყოს გამწოვი სავენტილაციო მოწყობილობა ნამწვი აირის გაწოვისათვის, სახანძრო დეტექტორის გამომრთველი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, ცეცხლმაქრი ელექტრომოწყობილობებისთვის. საშემდუღებლო სამუშაოების ადგილი დაცულ იქნას ცეცხლგამძლე ფარდით და უზრუნველყოფილ იქნას პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთის არსებობა; ელექტრო ლაბორატორიაში წინაღობების შეერთების სტენდზე დაცული იქნას უსაფრთხოების ზომები (არ უნდა იყოს ღია ელექტრო-მოწყობილობა და ღია ელექტრო მავთულები); მოწყობილ იქნას სამანქანე განყოფილება, სადაც განთავსებული ექნება შიგა წვის ძრავა და მისი სათადარიგო ნაწილები.	

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ განაახლოს პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკისა და სამაცივრო დანადგარების ლაბორატორია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამისათვის წარმოდგენილი ბიუჯეტით დაწესებულების მიერ განსაზღვრულია რენტაბელობით დადგენილი სტუდენტთა დაოდენობა, რომელიც 15-ს შეადგენს. აღსანიშნავია რომ ინტერვიუს დროს ექსპერტების მიერ დაისვა საკითხი თუ როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება პროგრამის განხორციელებას თუ მასზე მოვიდოდა რენტაბელობის რაოდენობრივ მაჩვენებელზე უფრო ცოტა სტუდენტი, რაზეც დაწესებულებამ განაცხადა რომ დაწესებულებას გააჩნია სარეზერვო ფონდი და იქედან მოხდებოდა პროგრამის დაფინანსება პირველად ეტაპზე.

პროგრამისათვის გაწერილ ბიუჯეტში წარმოდგენილი ხარჯები არ შეიცავს პროგრამისათვის საჭირო მატერიალური ბაზის განახლების, პრაქტიკის განხორციელების და გემის შენახვის ხარჯები. ექსპერტების მიერ დისტანციური აუდიტის დროს დამატებით გამოთხოვნილ იქნა დაწესებულების მთლიანი ბიუჯეტი, რათა უფრო ნათლად განსაზღვრულიყო პროგრამის ფინანსური მდგრადობა. მთლიან ბიუჯეტში არ არის წარმოდგენილი ხარჯები კონკრეტულად გემის მექანიკის ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებისთვის. ბიუჯეტის მაჩვენებელში არ არის ასევე ნაჩვენები ის სარეზერვო ფონდი საიდანაც დაწესებულება გეგმავს რისკების დაზღვევას და რომლის შესახებაც ითქვა ინტერვიუს დროს. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ დაწესებულებას ასევე გააჩნია საწვრთნელი ცენტრი, რომელთა შემოსავლები ასახულია საერთო ბიუჯეტში, მაგრამ არ ჩანს კონკრეტულად საწვრთნელი ცენტრისთვის დადგენილი ხარჯები.

რეკომენდირებულია დაწესებულებამ უფრო დეტალურად და ნათლად წარმოადგინოს პროგრამისათვის გაწერილი ბიუჯეტი, მათ შორის პრაქტიკის განხორციელებისა და მატერიალური რესურსების შეძენასთან მიმართებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- დაწესებულების ბიუჯეტი 2021 წლისათვის
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- უფრო დეტალურად და ნათლად გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი, მასში პროგრამის მატერიალური ბაზის განახლების და პრაქტიკის განხორციელების ხარჯების ასახვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. ხარისხის მართვისა და უზრუნველყოფის სისტემა წარმოდგენილია ორი სტრუქტურული ერთეულით. პირველი ეს არის ხარისხის მართვის სისტემა ISO 9001-2015-ს სტანდარტის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო პროცედურას ადმინისტრაციისა და მენეჯმენტისთვის, განსაზღვრავს პოლიტიკას, სტრუქტურას, დაინტერესებულ პირებს, მომხმარებელთა კმაყოფილებას და მეორე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხს ეროვნული სტანდარტების საფუძველზე. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დანერგილია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები - სხვადასხვა ტიპის კითხვარები სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულთა და პერსონალისთვის. შეგროვებული მონაცემების ანალიზის შედეგები აისახება მენეჯმენტის ანალიზის დოკუმენტში, სადაც მოცემულია ანალიზის შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები, პრობლემების წარმოშობის გარემოებები და მათი გადაჭრის გზები. დოკუმენტში აღწერილი ყველა შეფასებული ინდიკატორი მაღალია და აქვს ზრდის ტენდენცია.

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი მიზნები, ამოცანები და სტრატეგიული პრიორიტეტები;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- 2019 წლის ანგარიში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის ჩატარების შესახებ;
- განათლების ხარისხის მართვის კონცეპცია (2019-2025);
- პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები (სტუდენტების მოსწრება, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მაჩვენებელი, სტუდენტთა კმაყოფილების ანალიზი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი);
- ბნსუ-ს 2020 წლის სამუშაო გეგმა;
- გასაუმჯობესებელი ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბნსუ გარე ხარისხის შეფასების მექანიზმად იყენებს აკრედიტაციის პროცესს, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მეზღვაურთა ტერნინგ-ცენტრი მუდმივად მოწმდება საზღვაო სატრანსპორტო სააგენტოს მიერ. უშუალოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის „გემის მექანიკა“ გარე შეფასებას წარმოადგენს დარგობრივი ორგანიზაციებისა და პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ მომზადებული გამოხმაურებები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა დადებითია. გარდა ამისა პროგრამა წარმოადგენს ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის „გემის მექანიკა“ ინგლისურენოვან ანალოგს, რომლის გარე შეფასების შედეგს წარმოადგენს აკრედიტაციის მოპოვება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ უცხოური უნივერსიტეტების შეფასებები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი წარმოებს ყოველწლიურად, რომელიც წარმოდგენილია 4 ძირითად კატეგორიად და მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, როგორებიცაა: ცოდნის, უნარების განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პერსონალის მუშაობის მონიტორინგი, სწავლის შედეგების მონიტორინგი საწყისი და საბოლოო შედეგების შედარებით, ასევე უნივერსიტეტში წარმართული პროცესების მონიტორინგი.

ბნსუ-ში დანერგილია სხვადასხვა ტიპის გამოკითხვები პროგრამის ათვისების პროცესების შესამოწმებლად. უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასების პროცესი ელექტრონული წესით. წარმოდგენილი კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე აკადემიური საბჭოს მიერ მიიღება გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის მოდიფიცირებისა და გაუმჯობესებისათვის.

ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „გემის მექანიკა“ გარე შეფასების მომენტში (აკრედიტაციის პროცესი) გამოიკვეთა მისი შესაბამისობის პრობლემა უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, კერძოდ, „საგანმანათლებლო

პროგრამის საზღვაო 6-თვიანი სამსახური უნდა განხორციელდეს ხომალდზე, რომლის ძრავის სიმძლავრე არანაკლებ 750 KW-ია, ხოლო უნივერსიტეტს ამ მიზნებისათვის წარმოდგენილი ჰქონდა საკუთარი რესურსი, რომლის სიმძლავრე ნაკლებია დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულზე“. უნივერსიტეტმა უზრუნველყო აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად საზღვაო პრაქტიკის განსახორციელებლად საკრუინგო კომპანიების მოძიება და მათთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ 2019 წლის ანგარიში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის ჩატარების შესახებ; ○ პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები (სტუდენტების მოსწრება, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მაჩვენებელი, სტუდენტთა კმაყოფილების ანალიზი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი); ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის „გემის მექანიკა“ შესახებ 2018 წლის 9 ოქტომბერი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

გემის მექანიკა, ბაკალავრიატი;

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

გივი სანაძე,



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

ვალერი ჯაჯანიძე



ნინო გორგოშაძე



ნიკა გიგაური

